



ევროკავშირის ევროპის წარმომადგენლის უმაღლესი უსაფრთხოების პოლიტიკისა და საგარეო საკითხებში კეტრინ ეშტონმა გააკეთა განცხადება რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონში S-300 საჰაერო-საზენიტო სარაკეტო სისტემის განლაგებასთან დაკავშირებით

2010 წლის 13 აგვისტოს ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა უსაფრთხოების პოლიტიკისა და საგარეო საკითხებში კეტრინ ეშტონმა გააკეთა განცხადება რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონში S-300 საჰაერო-საზენიტო სარაკეტო სისტემის განლაგებასთან დაკავშირებით

ქ-ნი ეშტონი გამოხატავს შეშფოთებას ხსენებული ფაქტის გამო და აღნიშნავს, რომ საქართველოს რეგიონში S-300 საჰაერო-საზენიტო სარაკეტო სისტემის განთავსებით რუსეთი არღვევს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას. გარდა ამისა, რუსეთის ამ ქმედებას შეუძლია გამოიწვიოს რეგიონში ვითარების გამწვავება, აღნიშნულია განცხადებაში.

ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნებას, ადასტურებს თავის პატივისცემას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და აღნიშნავს რომ აფხაზეთში, საქართველო, და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთი, საქართველო, ოფიციალური ვიზიტების განხორციელება უნდა ხდებოდეს ამ პრინციპების სრული დაცვით.

ევროკავშირი კიდევ ერთხელ მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ყველა პუნქტი.

გამოყენებული წყარო: http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=12598

ინფორმაცია საქართველო-ევროკავშირის შორის სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარების შეთანხმებას

2010 წლის 29 ივლისს დასრულდა მოლაპარაკებები და პარაფირება გაუკეთდა საქართველო-ევროკავშირის შორის სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარების შეთანხმებას.

შეთანხმების პარაფირება საქართველოს მხრიდან მოახდინა საგარეო საქმეთა მინისტრიეს მოადგილემ დავით ჯალაღანიამ, ხოლო ევროპული მხრიდან ევროკომისიის სოფლის მეურნეობის გენერალური დირექტორის, სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებთან თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელმა ნიკოლა ვერლემმა.

შეთანხმება არეგულირებს იმ გეოგრაფიული აღნიშვნების აღიარებასა და დაცვას, რომლებიც წარმოშობილია ხელშემკვრელ მხარეთა ტერიტორიებიდან. აღსანიშნავია, რომ საქართველო არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პირველი ქვეყანა, რომელმაც დაასრულა ამ საკითხზე მოლაპარაკებები ევროკავშირთან და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და პოპულარიზაციის კუთხით.

ნიშნავს, რომ "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების" გაფორმებასთან დაკავშირებით ევროკავშირის მხრიდან ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აღნიშნული შეთანხმების გაფორმება, რომელიც დაეხმარება საქართველოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს ადგილობრივი კანონმდებლობა.

გამოყენებული წყარო: http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=12560

2010 წლის 8 აგვისტოს ესტონეთის პარლამენტის ესტონეთ-საქართველოს მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფმა მიიღო

განცხადება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის ორი წლისთავთან დაკავშირებით.

ესტონეთ-საქართველოს მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფი გამოხატავს შეშფოთებას იმის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ისევ ოკუპირებულია, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს არ გააჩნიათ საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების საშუალება, საქართველოს მოქალაქეები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, სამშვიდობო და ჰუმანიტარული მისიების წარმომადგენლები მოკლებულნი არიან ოკუპირებულ რეგიონებში შეღწევის შესაძლებლობას.

ესტონეთი კიდევ ერთხელ გამოხატავს პატივისცემას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ და მოუწოდებს რუსეთს, გამოიწვიოს თავისი გადაწყვეტილება ე.წ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებს — იდგნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთხოვნის პრინციპებზე და მოითხოვონ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა.

გამოყენებული წყარო: http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=30&info_id=12578

ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების დირექტორის განცხადება 2010 წლის 14 სექტემბერს

ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის 2011 წლის 14 სექტემბრამდე გაგრძელების თაობაზე. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია წარიგზავნა და დაიწყო თავისი საქმიანობა 2008 წლის 1 ოქტომბერს, საქართველოსა და რუსეთის შორის 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ. მისიის მანდატს წარმოადგენს დაკვირვება ყველა მხარის ქმედებათა შესაბამისობაზე ექსპლუატივან შეთანხმებასთან, ასევე გაეროსა და ეუთოს მჭიდრო კოორდინაციით და ევროკავშირის სხვა საქმიანობასთან შეთანხმებულად წვლილის შეტანა საქართველოში სტაბილიზაციის, ნორმალიზაციისა და ნდობის აღდგენის საქმეში და ამავე დროს ინფორმაციის მიწოდება ევროპული პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად.

ავისტოლ რაიჯასტი



ავტონომიური რეგიონების მხარდაჭერის აქტივობები

უკანასკნელი ინფორმაციით, ევროკავშირის ეკონომიკამ წლის მეორე მეოთხედში ერთი პროცენტით მოიმატა. ეს ევროზონის 16 სახელმწიფოსთვის იმაზე კარგი შედეგია, ვიდრე ეკონომისტიები ვარაუდობდნენ. მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკის წინსვლაში გერმანიას მიუძღვის. ეკონომისტიების მონაცემებით ერთპროცენტის ზრდა ძალიან მნიშვნელოვანია, წლის პირველი მეოთხედის 0.2 პროცენტიან ზრდასთან შედარებით. კონკრეტულად გერმანიაში კი ეკონომიკის ზრდამ 2.2 პროცენტი შეადგინა, ეს ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ანალიტიკოსები ამბობენ, რომ გერმანია ევროპის ეკონომიკის მასტიმულირებელი ძალაა. 2009 წლის ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ქვეყნის ეკონომიკამ 4.9 პროცენტით მოიმატა, ეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო.

ბერლინის რეგიონის მხარდაჭერის აქტივობები

ბულგარეთი მზად არის ისრაელ-პალესტინას შორის პირდაპირი მოლაპარაკებების მორიგ რაუნდს უმასპინძლოს. მოვლენების ასეთი განვითარება ბულგარეთში ისრაელის პრეზიდენტის შიმონ პერესის ვიზიტს მოსდევს. აღსანიშნავია, რომ პერესის შემდეგ სოფია პალესტინის ავტონომიის ლიდერმა, მაჰმუდ აბასმაც მოინახულა. ბულგარეთს კარგი ურთიერთობა აქვს ორივე მხარესთან. მეორე მსოფლიო ომის დროს, ბულგარეთი იყო გერმანიის ერთადერთი მოკავშირე ქვეყანა, რომელმაც საკონცენტრაციო ბანაკებში ებრაელების დეპორტაცია არ მოახდინა. მოგვიანებით სამოციან და სამოცდაათიან წლებში მან ბევრ პალესტინელ ლტოლვილს თავშესაფარი მისცა.

ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი თვლიან, რომ ისრაელ-პალესტინის ლიდერები ამ შეხვედრისთვის მზად არიან. მათ გაცნობიერებული აქვთ პალესტინის საბოლოო სტატუსის განსაზღვრის მნიშვნელობა და ორი სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებლობა.

ევროკავშირის კანონის უზენაესობის განმტკიცების მისია კოსოვოში (EULEX), ხელისუფლების წარმომადგენლების სერიულ დაპატიმრებებს ახორციელებს. მისია სერბეთის ყოფილ პროვინციაში 2008 წლიდან ყველაზე დიდი შემადგენლობით (3000 თანამშრომელი) მუშაობს. მას აქვს ძალა ჩაერიოს ისეთ საქმეებში, რომლებსაც ადგილობრივი კანონმდებლობა და პოლიცია ვერ უმკლავდება. თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის დაკავებულები არიან კოსოვოს ცენტრალური ბანკის მმართველი და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსანი. ნაყენებულ ბრალდებებს შორის ძირითადი ქრთამის აღება, გადასახადების დამალვა და ფულის გამოძალვაა. ევროკავშირის მისიის მუშაობას კოსოვოში ექსპერტები დადებითად აფასებენ, თუმცა ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სერბეთის ყოფილ

პალესტინის რეგიონის მხარდაჭერის აქტივობები

ევროკავშირის კანონის უზენაესობის განმტკიცების მისია კოსოვოში (EULEX), ხელისუფლების წარმომადგენლების სერიულ დაპატიმრებებს ახორციელებს. მისია სერბეთის ყოფილ პროვინციაში 2008 წლიდან ყველაზე დიდი შემადგენლობით (3000 თანამშრომელი) მუშაობს. მას აქვს ძალა ჩაერიოს ისეთ საქმეებში, რომლებსაც ადგილობრივი კანონმდებლობა და პოლიცია ვერ უმკლავდება. თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის დაკავებულები არიან კოსოვოს ცენტრალური ბანკის მმართველი და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსანი. ნაყენებულ ბრალდებებს შორის ძირითადი ქრთამის აღება, გადასახადების დამალვა და ფულის გამოძალვაა. ევროკავშირის მისიის მუშაობას კოსოვოში ექსპერტები დადებითად აფასებენ, თუმცა ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სერბეთის ყოფილ

პროვინციაში კორუფციის არსებობას.

17000 მთავარი მოქალაქე მიიღო რეგიონის მთავრობის მიერ

რუმინეთის პრეზიდენტის ტრაიან ბასესკუს მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად მიმდინარე წლის განმავლობაში 17000-მა მოქალაქემ ოფიციალურად მიიღო რუმინეთის მოქალაქის სტატუსი. ნახევარ მილიონზე მეტი მოქალაქე მუშაობს ევროკავშირში და უმეტესობა შავ ბაზარზე არის დასაქმებული.

მოქალაქე კოლეგა, მიჰაი გიმპუსთან ერთად პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში ბასესკუმ განაცხადა, რომ რუმინეთს არ ეშინია ევროკავშირის კრიტიკის მოქალაქე იმიგრანტების "უკანა კარიდან იმპორტირებასთან" დაკავშირებით, რუმინეთის მოქალაქეობის მისაღებად არავითარ იძულებით ქმედებას არ აქვს ადგილი და ამით მოქალაქეებს მხოლოდ უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის მიერ ჩამორთმეული უფლება. გიმპუმ დასძინა, რომ რუმინეთის მოქალაქეობის მიღება არ წარმოადგენს საკითხს რაშიც ძირითადი პრობლემა მდგომარეობს, არამედ მთავარი საზრუნავი არის მოქალაქეობის არსებული სიღარიბე; 25000 მოქალაქე იმყოფება ამჟამად პორტუგალიაში და 180000 იტალიაში უკეთესი სამუშაო პირობების საძიებლად.

ევროკომისიის წარმომადგენლის განმარტებით, სახელმწიფო ეროვნებასა და მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხის განსაზღვრა ცალსახად წარმოადგენს წევრ-სახელმწიფოს კომპეტენციას, რაშიც იგი სარგებლობს სრული სუვერენიტეტით და შესაბამისად ამ სფეროს რეგულირება ხდება მხოლოდ შიდა-სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.

ავტონომიური რეგიონის მთავრობის მხარდაჭერის აქტივობები

ევროპის პარლამენტის ინიციატივით ინტერნეტ სივრცეში იქმნება ახალი ვირტუალური თამაში — სიტალია (Citizalia). პროგრამა წარმოადგენს როლური ხასიათის ვირტუალურ თამაშს შექმნილ სამ გამოთვლილზე სისტემაში და მიზნად ისახავს ფორუმის სახით ახალი სოციალური ქსელის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ევროკავშირის მოქალაქეების მიერ ევროპის პარლამენტის კონცეფციის უკეთ გააზრებას და მისცემს მათ საშუალებას ვირტუალურად შექმნილი ავტარების მეშვეობით თავად ჩაერთონ პარლამენტის მუშაობის პროცესში, განიხილონ



საკანონმდებლო ინიციატივები, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, პერსონალურ გვერდებზე დააფიქსირონ საკუთარი აზრი, აწარმოონ თემატური დისკუსიები ფორუმის გვერდზე. აღსანიშნავია, რომ სიტუალაია თავისუფალი იქნება ნებისმიერი სახის ცენზურისაგან, რაც თავის მხრივ ბადაებს არასწორი ინფორმაციის გავრცელების დიდ რისკს. ამასთან დაკავშირებით, პროექტის რედაქტორმა აჰმედ ელამინმა განაცხადა, რომ მსგავსი უზუსტობების "გასწორება" შესაძლებელი იქნება შექმნილი ავტარების მეშვეობით ისე რომ არ მოხდეს მომხმარებლის აზრის თავისუფლების შელახვა.

პროექტის განხორციელებისათვის ევროპის პარლამენტმა გამოყო 275000 ევრო. მიუხედავად საინტერესო ჩანაფიქრისა პოტენციურ მომხმარებელთა აზრი მის ეფექტურობასთან დაკავშირებით სკეპტიკურია. ამავე პოზიციაზე იმყოფებიან ევროპული მასმედიის წარმომადგენლებიც.

გეოგრაფიკულ პასუხი სარკოზის პოლიტიკურ ინიციატივას

უახლოეს მომავალში ევროკომისარი ჰუმანიტარული დახმარებისა და კრიზისების დაძლევის საქმეში, კრისტალინა გეორგიევას პოლიტიკურ წინადადებას წარადგენს, სადაც ევროკავშირის მხრიდან კრიზისებზე რეაგირების გზების დახვეწაზე იქნება საუბარი. აღსანიშნავია, რომ გეორგიევას ინიციატივა მოსდევს საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის რეაქციას პაკისტანში მომხდარ დამანგრეველ წყალდიდობებზე. პრეზიდენტმა სარკოზიმ პაკისტანში განვითარებული მოვლენების შემდეგ, ევროგაერთიანებას საერთო მობილიზაციისაკენ მოუწოდა. წერილში ევროკომისიის პრეზიდენტს, ჟოზე მანუელ ბაროზოს, სარკოზი წერს რომ ბოლო დროს განვითარებული კატაკლიზმების, კერძოდ ჰაიტის მიწისძვრების, რუსეთის გვალვებისა და პაკისტანის წყალდიდობების შემდეგ, საჭიროა ევროკავშირმა დახვეწოს ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის მექანიზმი. კრისტალინა გეორგიევას პრეს მდივნის ფერან ტარადელას განცხადებით, კომისარი სარკოზის პოლიტიკურ ინიციატივას პასუხს ზაფხულის სესიების შემდეგ გაცემს. ფერან ტარადელას დეტალებზე არ უსაუბრია, მაგრამ დასძინა, რომ ევროკავშირის ჰუმანიტარული დახმარებისა და კრიზისების დაძლევის კომისიის გეგმა არსებულს დაემყარება, რომლის მიხედვითაც ევროპის მხრიდან ადამიანების დაცვის მექანიზმები უნდა დაიხვეწოს

გამოყენებული წყაროები:
www.euobserver.com;
www.euractiv.com.

ევროსტატისტიკა

ევროკავშირის მოსახლეობის აზრი ჰუმანიტარული დახმარების სფეროში

გასულ თვეში ევროკომისიის საზოგადოებრივი აზრის ანალიზის სექტორმა, ევრობარომეტრმა, გამოაქვეყნა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, რომელიც ეხებოდა მოსახლეობის დამოკიდებულებას ევროკავშირის მიერ განეული ჰუმანიტარული დახმარების პოლიტიკის მიმართ.

ევროკავშირის მოსახლეობის 85% დაასახელა ერთი ორგანიზაცია მაინც, რომელიც უშუალოდ ახდენს ჰუმანიტარული დახმარების გაცემას დაზარალებულ რეგიონებში. განსაკუთრებით მაღალი იყო ეს რიცხვი დანიასა და სლოვენიაში (97%), ხოლო დაბალი ლიტვაში (67%). მხოლოდ 15% ვერ დაასახელა ვერც ერთი მსგავსი ორგანიზაცია. ყველაზე ხშირად დასახელდა წითელი ჯვარი (64%), გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF (36%) და არასამთავრობო ორგანიზაციები (20%).

გამოკითხულთა მხოლოდ 72% დაასახელა ერთი ან მეტი ორგანიზაცია, რომელიც ჰუმანიტარული დახმარების დაფინანსებას ახდენს. მათ შორის ყველაზე მაღალი ცნობადობით კვლავ წითელი ჯვარი (42%) და UNICEF (27%) გამოიჩინა. ამავე დროს რესპოდენტებმა აღნიშნეს ეროვნული მთავრობის (18%), ევროკავშირის (15%), არასამთავრობო ორგანიზაციების (14%), ამერიკის შეერთებული შტატების (7%) ფინანსური მხარდაჭერა.

გამოკითხულთა მხოლოდ 43% აღნიშნა რომ იციან ევროკავშირის და მისი ინსტიტუტების (ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების დეპარტამენტი, ECHO) მიერ გაერთიანების საზღვრებს გარეთ განეული ჰუმანიტარული საქმიანობის შესახებ. 2% დაადასტურა რომ ძალიან კარგად იცნობს ევროკავშირის ჰუმანიტარულ საქმიანობას. მიუხედავად ამ საკითხში ინფორმაციის სიმცირისა, რესპოდენტთა დიდმა ნაწილმა (86%) ხაზი გაუსვა ევროკავშირის ჰუმანიტარული საქმიანობის მნიშვნელობას და ინფორმაციის გავრცელებას. 58% აღნიშნა, რომ ემხრობა ევროკავშირის ერთიან ძალისხმევას ამ სფეროში და მხოლოდ 24% ფიქრობს რომ უმჯობესია წევრი სახელმწიფოები დამოუკიდებლად ახდენდნ დახმარებას. ერთიან ძალისხმევას ემხრობა კვიპროსელთა 71%, პორტუგალიელთა და ესპანელთა 68%, ამ იდეას შედარებით ნაკლები მხარდაჭერი ჰყავს ლიტვაში (46%) და რუმინეთში (43%).



